ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

World Health Organization
European Region

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საინფორმაციო ფურცელი ჯანდაცვის მუშაკებისათვის

როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა

როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო თხევადი ვაქცინა შეიცავს ვირუსის ცოცხალ ატენუირებულ შტამებს.

ვაქცინაციის სქემა

აცრა ტარდება 2 და 3 თვის ასაკში, კურსი არის ორდოზიანი და პირველ და მეორე აცრას შორის მინიმალური ინტერვალია 4 კვირა. რეკომენდებულია ვაქცინის პირველი დოზის მიცემა 16 კვირის ასაკამდე. აცრების ორდოზიანი კურსი უნდა დამთავრდეს 24 კვირის ასაკში.

დოზა

ერთი დოზა შეადგენს 1,5 მლ-ს.

ადმინისტრირება

ადმინისტრირება ხდება ორალურად (პირის ღრუში ჩაწვეთებით).

როტავირუსული ვაქცინის უსაფრთხოება და იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენები

როტავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები უსაფრთხოა და ბავშვებს საკმაოდ იოლად გადააქვთ. ნაწლავის ინვაგინაციის განვითარების რისკი დაბალია (1 -2 შემთხვევა 100 000 ვაქცინირებულ ახალშობილში). ვაქცინის ადმინისტრირება შესაძლებელია იმუნიზაციის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა ვაქცინებთან ერთად. მსუბუქი რეაქციებიდან შესაძლებელია აღინიშნოს გაღიზიანება, სურდო, ყურის ინფექცია, დიარეა და ღებინება (ვაქცინირებულთა 5 %-ში).

უკუჩვენება:

- მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე;
- მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტის მდგომარეობა;
- ნაწლავის ინვაგინაცია ანამნეზში.

გაფრთხილება:

- მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტისგან განსხვავებული იმუნოკომპეტენტურობის სხვა ცვლილება;
- გასტროინტესტიალური ქრონიკული დაავადება;
- სპინალური თიაქარი ან შარდის ბუშტის ექსტროფია;
- საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით ან მის გარეშე – ვაქცინაცია უნდა გადაიდოს გამოჯანმრთელებამდე.

შენახვის პირობები

ვაქცინა ინახება +2^{0}C - +8^{0}C ტემპერატურაზე.

წყაროები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. იმუნიზაცია პრაქტიკაში: პრაქტიკული იმუნიზაციის სახელმძღვანელო სამედიცინო პერსონალისთვის

https://www.who.int/publications/i/item/immunization-in-practice-a-practical-guide-for-health-staff

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-51/ნ

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4869455?publication=0

„იმუნიზაციის მართვის წესები“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) *https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/jann_sistema/higienuri-Norm/metod-rekomend/imun-martvis-tcesebi.pdf*

მასალა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.